ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 02/30 "21" 04 2015 წ.

დეკანის ბრძანება №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N22/04 (30.12.2014) ბრძანების უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ხელშეწყობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 იანვრის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი # 1. 29.01.2015) საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროგრამის განხორციელების პირობებისა და ჩატარების წესის საფუძველზე

ვბრძანებ

1. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულ სამეცნიერო–კვლევით პროექტებს ენიჭება შემდეგი კოდები:
   - TSU/FSPS/TSRP/2015.01 - „თბილისის ურბანული განვითარების სივრცითი ასპექტები: მობილობის გავლენა სოციალური გარემოს ცვლილებაზე", პროექტის ხელმძღვანელი - გიორგი გოგსაძე
   - TSU/FSPS/TSRP/2015.02 - „1918 – 1921 წლების ქართული პლურალისტული მედიის ძირითადი სტრატეგიები“, პროექტის ხელმძღვანელი - მანანა შამილიშვილი
   - TSU/FSPS/TSRP/2015.03 - „თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა“, პროექტის ხელმძღვანელი - ნინო დურგლიშვილი
   - TSU/FSPS/TSRP/2015.04 - "გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები საქართველოში", პროექტის ხელმძღვანელი - სალომე დუნდუა
   - TSU/FSPS/TSRP/2015.05 - "ეუთოს მისიების ანატომია საქართველოსა და უკრაინაში: შედარებითი ანალიზი", პროექტის ხელმძღვანელი - სერგი კაპანაძე
   - TSU/FSPS/TSRP/2015.06 - "თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ–კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით (ქალაქ კურგანის და მისი შემოგარების ქართული დიასპორის მაგალითზე)", პროექტის ხელმძღვანელი - მალხაზ მაცაბერიძე

ჭავჭავაძის გამზ. 8. 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge E-mail

2. დაფინანსებული სამეცნიერო–კვლევითი პროექტის მართვას ახორციელებს პროექტის ხელმძღვანელი.
3. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროექტის პროგრამული მხარის წარმართვასა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე.
4. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე.
5. დაფინანსებული სამეცნიერო–კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.
6. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ.დოლბაია